**გერმანიაში დროებითი ლეგალური დასაქმების პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიაროთ შემდეგ ვებ-გვერდზე: [workabroad.moh.gov.ge](workabroad.moh.gov.ge)**

**რეგისტრაციის დასაწყებად, საჭიროა დააჭიროთ ღილაკს "რეგისტრაცია"**




**გაეცნით და დაეთანხმეთ პირობას პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.**



თანხმობის შემდეგ, შესაბამის გრაფებში შეიყვანთ თქვენს პირად ნომერს, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ გვარს და მამის სახელს. მითითებისამებრ შეავსებთ მისამართების ველებს და შეიყვანთ თქვენი მობილურის ნომერს. (გაითვალისწინეთ, რომ ერთი მობილურის ნომრით, შესაძლებელია მხოლოდ ერთი მომხმარებლის რეგისტრაცია).



**შემდეგ, დააჭირეთ ღილაკს „სმს გაგზავნა“. მითითებულ ნომერზე, შეტყობინების (SMS) სახით მიიღებთ ერთჯერად ექვსნიშნა კოდს, რომელსაც შეიყვანთ მოცემულ გრაფაში.**




**შემდეგ დააწვებით ღილაკს „რეგისტრაცია“**



**რეგისტრაციის ღილაკზე დაჭერის შემდეგ უნდა აირჩიოთ გრაფა „დროებითი ლეგალური დასაქმება გერმანიაში“.**




**გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და დაეთანხმეთ პირობებს.**





**იმისათვის, რომ წარმატებით გაიაროთ რეგისტრაცია, საჭიროა შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი და დააჭიროთ ღილაკს "რეგისტრაციის დასრულება".**




**რეგისტრაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გამოჩნდება შემდეგი შეტყობინება: "თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია, განაცხადი N.... შემდეგ ეტაპზე გადასვლის შემთხვევაში, დაგიკავშირებით თქვენ მიერ მითითებულ ნომერზე. კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ [infosesa@moh.gov.ge](mailto:infosesa@moh.gov.ge) გისურვებთ წარმატებებს!"**

